



საქართველო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. №65

E-mail: sakrebulo@vani.org.ge

ინდექსი 1900

ტელ: 22-18-18

№ 320

30.10. 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით აუქციონის გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, „თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 ოქტომბრის N22 დადგენილების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

მუხლი 1.

გამოცხადდეს აუქციონი თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონების პრივატიზების მიზნით:

1. ხილის მიმღები პუნქტი–მდებარე დიხაშხოს თემში, სარეგისტრაციო კოდი 310707017. მიწის ნაკვეთი–1220 კვ.მ. შენობის ფართი–327 კვ.მ.
2. ხილის მიმღები პუნქტი–მდებარე ტობანიერის თემში, სარეგისტრაციო კოდი 310403981. მიწის ნაკვეთი–1925კვ.მ. შენობის ფართი–359,6 კვ.მ.
3. ხილის მიმღები პუნქტი–მდებარე სულორის თემში, სარეგისტრაციო კოდი 311803320. მიწის ნაკვეთი–1141 კვ.მ. შენობის ფართი–409,1კვ.მ.

4. ხილის მიმღები პუნქტი–მდებარე ძულუხის თემში, სარეგისტრაციო კოდი 311902408. მიწის ნაკვეთი–57კვ.მ. შენობის ფართი–54,7 კვ.მ.
5. კლუბის შენობა–მდებარე შუამთის თემის სოფელ ჭყვიშში. სარეგისტრაციო კოდი 310302211. მიწის ნაკვეთი–413.7კვ.მ. შენობის ფართი–170.2კვ.მ.
6. კლუბის შენობა–მდებარე ზეინდრის თემში. სარეგისტრაციო კოდი 311704056. მიწის ნაკვეთი–3285კვ.მ. შენობის ფართი–887კვ.მ.
7. ბიბლიოთეკის შენობა–მდებარე უხუთის თემში. სარეგისტრაციო კოდი 311203316. მიწის ნაკვეთი–122კვ.მ. შენობის ფართი–57.3კვ.მ.
8. ბიბლიოთეკის შენობა–მდებარე ქ. ვანი ბაგრატის ქ.№20. სარეგისტრაციო კოდი 310105024 მიწის ნაკვეთი–143კვ.მ. შენობის ფართი–54კვ.მ.
9. სქემური კაბელების საამქრო–მდებარე სულორის თემში. სარეგისტრაციო კოდი 311803318 მიწის ნაკვეთი–2256კვ.მ. შენობის ფართი–545კვ.მ.
10. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 93 კვ.მ.–მდებარე შუამთის თემში. სარეგისტრაციო კოდი 310330012.
11. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 46.43 კვ.მ.–მდებარე ტობანიერის თემში. სარეგისტრაციო კოდი 310423002.
12. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 4655კვ.მ.–მდებარე სალხინოს თემში. სარეგისტრაციო კოდი 310602742.
13. მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ჯართი (შავი ლითონი)
14. მუნიციპალურ საკუთრებაში რიცხული ჯართი (ფერადი ლითონი)
15. ა/მანქანა „მერსედეს ბენცი“-ს ამორტიზირებული ძრავა.

მუხლი 2.

დამტკიცდეს გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია თვითმმართველი ერთეულის–ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(დანართი №1)

მუხლი 3.

თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედმა სააუქციონო კომისიამ ორგანიზება გაუკეთოს თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებას აუქციონის ფორმით.

მუხლი 4.

აუქციონის წესით პრივატიზებისთვის სადეპონენტო თანხის /„ბე“/ აკუმულაცია განხორციელდეს ვანის მუნიციპალიტეტის სპეცანგარიშზე ს.ს. „ლიბერთი ბანკი“-ს ვანის ფილიალი, ანგარიშის №33060002

მუხლი 5.

ბრძანება განთავსდეს თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მუხლი 6.

ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „24 საათი“ და სხვა ხელმისაწვდომი საინფორმაციო საშუალებებით.

მუხლი 7.

კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზურაბ გეგიძემ.

მუხლი 8.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში, ვანის რაიონულ სასამართლოში.

დავით კაკაბაძე

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ინფორმაცია თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შედეგად

გამოცხადდეს აუქციონი თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგი ქონებების პრივატიზების მიზნით:

1.ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები:

№	ობიექტის დასახელება	მისამართი	სარეგისტრაციო კოდი	მიწის ნაკვეთის სიდიდე კვ.მ.	შენობის საერთო ფართობი კვ.მ.	საწყისი ღირებულება აშშ დოლარი	სადეპოზიტო თანხის, „ბე“-ს სიდიდე აშშ დოლარი	„ბიჯი“ აშშ დოლარი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	ხილის მიმღები პუნქტი	დიხაშხოს თემი	31 07 07 017	1220	327	8377	2514	420	
2	ხილის მიმღები პუნქტი	ტობანიერის თემი	31 04 03 981	1925	359,6	5847	1754	293	
3	ხილის მიმღები პუნქტი	სულორის თემი	31 18 03 320	1141	409,1	5847	1754	293	
4	ხილის მიმღები პუნქტი	ძულუხის თემი	31 19 02 408	57	54,7	260	84	17	
5	სქმური კაბელების საამქრო	სულორის თემი	31 18 03 318	2256	545	9605	2882	485	
6	კლუბის შენობა	შუამთის თემი, სოფ. ჭყვიში	31 03 02 211	413,7	170,2	2506	752	126	
7	ბიბლიოთეკის შენობა	უხუთის თემი	31 12 03 316	122	57,3	535	168	27	
8	ბიბლიოთეკის შენობა	ქ. ვანი ბაგრატიის ქ. №20	31 01 05 024	143	54	1671	502	84	
9	კლუბის შენობა	ზეინდრის თემი	31 17 04 056	3285	887	48122	14440	2410	

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები:

№	ობიექტის დასახელება	მისამართი	სარეგისტრაციო კოდი	მიწის ნაკვეთის სიდიდე კვ.მ.	საწყისი	სედეპოზიტო თანხის, „ბე“-ს სიდიდე აშშ დოლარი	„ბიჯი“	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	შუამთის თემი	31 03 30 012	93	742	224	39	
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	ტობანიერის თემი	31 04 23 002	46,43	234	71	12	
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	მთისძირის თემი	31 03 03 762	276	787	238	42	
4	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	სალხინოს თემი	31 06 02 742	4655	21564	6474	1078	

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული ა/მაქანა „მერსედეს ბენცი“-ს ამორტიზირებული ძრავა :

- ა) საწყისი ფასი 110,0 ლარი.
- ბ) „ბე“-ს სიდიდე 35,0 ლარი.
- გ) „ბიჯი“-ს სიდიდე 10,0 ლარი.

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯართი (შავი ლითონი) – 1355 კგ.

- ა) საწყისი ფასი 370,0 ლარი.
- ბ) „ბე“-ს სიდიდე 120,0 ლარი.
- გ) „ბიჯი“-ს სიდიდე 25,0 ლარი.

5. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯართი (ფერადი ლითონი) – 50,0 კგ.

- ა) საწყისი ფასი 70,0 ლარი.
- ბ) „ბე“-ს სიდიდე 25,0 ლარი.
- გ) „ბიჯი“-ს სიდიდე 20,0 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის წესი და პირობები:

1. თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს.
2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:
 - ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, თვითმმართველი ერთეულის - ვანის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, თვითმმართველი ერთეულის - ვანის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყისი ფასის ოდენობას, რომლის პრივატიზებაც სურს მონაწილეს.
 - ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეცანგარიშზე №33060002. ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ ვანის ფილიალში.
 - გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეცანგარიშზე №33060002. ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ ვანის ფილიალში. ბილეთის ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.
 - დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
 - ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
 - ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
3. თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რეგისტრატორი მონაწილეზე აკეთებს შესაბამის ჩანაწერს „აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში“, იტოვებს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მონაწილეს გადასცემს აუქციონში მონაწილის ბილეთს. მონაწილის ბილეთით მონაწილე ღებულობს აუქციონში მონაწილის სტატუსს.
4. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში.
5. აუქციონი ჩატარდება 2012 წლის 20 ნოემბერს, 13 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2012 წლის 20 ნოემბერის 12 საათამდე. მისამართი: ქალაქი ვანი, თავისუფლების ქ. №65,
დამტებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების მუდმივმოქმედ კომისიას.
საკონტაქტო პირი: კომისიის თავმჯდომარე ტელ: 595 908070;
კომისიის წევრი: ტელ: 591 300280

დავით კაკაბაძე

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე